დანართი №2

სსიპ კოლეჯ მოდუსის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:
თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი
წევრები: ნინო ხარხელაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი მოდუსი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216350829**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის ბრძანების MES 1 26 0000128782 საფუძველზე, მიმდინარე წლის 16 თებერვალს, სსიპ კოლეჯ მოდუსში (შემდეგში „დაწესებულება“) განხორციელდა ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მებაღეობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი განახორციელდა, დაწესებულების რუსთავის მისამართზე (ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას გამზირი №4), ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი ნინო ხარხელაური.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

დაწესებულების თვითშეფასების განაცხადით საგანმანათლებლო პროგრამის პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტების 2.1. კომპონენტი შეფასებული იყო ნაწილობრივი შესაბამისობით. განაცხადს თან ერთვოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (ბრძანება MES6260000038174, 20.01.2026, შესრულების ვადა: 2026 წლის ივნისი). ვიზიტის დროს, დაწესებულების მხრიდან, წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის/აღჭურვილობის შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დარგობრივი ექსპერტის მიერ, შემოწმებული იქნა დაწესებულების მფლობელობაში არსებული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის შესაბამისობა საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეფასების შედეგად რესურსის შესაბამისობა დადასტურდა. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მებაღეობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტთან შესაბამისობა, შეფასდა სრული შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში განხორციელებული პროექტი „ვირტუალური ბაღი“, ექსპერტების მიერ, იდენტიფიცრდა როგორც საუკეთესო გამოცდილება, მისი ეფექტურობის, ინოვაციურობისა და მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან სრული შესაბამისობიდან გამოდინარე.

„ვირტუალური ბაღი“, წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზებულ მოდელსა და საგანმანათლებლო ჰაბს (აპლიკაციას), ასევე არის სტუდენტური ინოვაციური სტარტაპი და კოლეჯის სტრატეგია, გააერთიანოს აგრარული განათლება ციფრულ ტექნოლოგებთან (Agro-Tech).

აპლიკაცია „ვირტუალური ბაღი“, აერთიანებს მებაღეობას, ბიზნესს/ეკონომიკას და თამაშის ელემენტებს. პროექტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგების დანერგვას, პროფესიულ სტუდენტებში ციფრული კომპეტენციებისა და მონაცემების მართვის უნარების განვითარებას, აპლიკაციის მომხმარებლების მოტივაციასა და ინტერაქციას, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციას.

აპლიკაციის მეშვეობით, მომხმარებელი ვირტუალურ სივრცეში ყიდულობს მცენარეს/მცენარეებს, შესაძლებლობა აქვს დააკვირდეს მათ ზრდას რეალურ დროში, მიიღოს როგორც უფასო, ისე ფასიანი გაკვეთილები და კვალიფიციური რჩევები მცენარეთა სახეებისა და მოვლის შესახებ. აპლიკაციის თამაში პრინციპი კი აძლევს შესაძლებლობას დააგროვონ ქულები და მიიღონ ბონუსები. აპლიკაციის მომხმარებლის მიერ შეძენილი მცენარის მოვლა პარალელურად ხორციელდება რეალურ გარემოში - კოლეჯის ბაზაზე არსებულ სათბურში, სტუდენტების მიერ. მომხმარებელს აქვს ალტერნატიული შესაძლებლობები: გაზრდილი მცენარე მიიღო და თავად განაგრძოს მცენარის მოვლა თამაშის დროს შეძენილი ცოდნის საფუძველზე ან აპლიკაციის მეშვეობით მოახდინოს მისი რეალიზაცია სხვა მომხმარებელზე, ან გააგრძელოს ვირტუალური მოვლა და დააგროვოს ქულები და დამატებითი ბონუსები. აპლიკაცია სხვა ანალოგიური ტიპის თამაშებისგან გამოირჩევა და მისი უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ვირტუალურთან ერთად, აერთიანებს, პროფესიონალების მიერ მცენარეთა რეალურ მოვლა-მონიტორინგს და ინვესტირებას.

პროექტი განახორციელა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ პროფესიული სტუდენტების მიერ, ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტისა და პროფესიული უნარების სააგენტოს სამეწარმეო კონკურსის ფარგლებში. მოზიდული ფინანსური რესურსი, სრულად მოხმარდა საგანმანთლებლო პროგრამის ინფრასტრუქტურის განვითარებას: კოლეჯის ტერიტორიაზე მოეწყო სათბური, შეიქმნა ინოვაციური აპლიკაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ სასწავლო პროცესში.

„ვირტუალური ბაღი“ და სათბური წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ფუნქციურად დატვირთულ ადგილს კოლეჯში, სადაც რეგულარულად ტარდება მასტერკლასები, ვორქშოპები. აპლიკაციის ინოვაციურობა ხელს უწყობს პროგრამის პოპულარიზაციას. განხორციელებული პროექტით, კოლეჯი ნათლად ახდენს დემონსტრირებას, რომ ორიენტირებულია სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერასა და განვითარებაზე, ხელს უწყობს მათი სამეწარმეო იდეების რეალიზებას, ეხმარება სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მოზიდვასა და მართვაში. ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმებთან ერთად, პროექტი არის ეფექტიანი, მოზიდული რესურსებით, კოლეჯის ბაზაზე შეიქმნა ეფექტური სასწავლო ინფრასტრუქტურა და რესურსი, რაც რჩება მის საკუთრებაში და ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

(პროექტის ვიდეო-მიმოხილვა იხ. https://www.youtube.com/watch?v=fXBJjuaZEpI)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირდა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

(3) - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - **რეკომენდაცია**: სასურველია, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და დარგში არსებული სიახლეების გაცნობით მიზნით, დაწესებულებამ პერიოდულად უზრუნველყოს მათი დარგობრივი მიმართულებით ტრენინგებსა და სხვა ტიპის ღონისძიებებში ჩართვა.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

(1) - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - **რეკომენდაცია:** სასურველია შეფასების ინსტრუმენტების განახლება/გაუმჯობესება და ტესტური დავალებების გამრავალფეროვნება, კითხვების/დავალებების სირთულისა და სიმარტივის ბალანსის დაცვა, განმსაზღვრელი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდა. დაწესებულების მარეგულირებელ წესში კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები, ისე რომ გამოირიცხოს ბუნდოვანი შინაარსის ფორმულირება.

(2) - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - **რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად დოკუმენტირება. დოკუმენტირებული ინფორმაცია მოიცავდეს: ვალიდატორებისა და ვერიფიკატორებს ჯგუფებს, შიდა რეგულაციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად რისკების რეესტრს, მოდულის ფარგლებში არსებული შეფასების ინსტრუმენტების დადგენილი მოცულობის მითითებით.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2026 წლის 13 მარტის MES 8 26 0000306312 კორესპონდეციის მე-7 პუნქტით მითითებულია ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობის შესახებ, კერძოდ 2.4.1. (2) ინდიკატორის აღწერის ტექსტში დაფიქსირდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, კერძოდ: „დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას“, რაც კორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „დაწესებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №027248, (15/01/2026)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შარტავას ქ. №4.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №37601, 21.01.2025 წ; ცვლილება განხორციელებულია: ბრძანება №1680353, 26.11.2025), რომლის თანახმად პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს პსდ-ის მისიას, სტრატეგიულ გეგმას, მის შემუშავებასა და განხორციელებაზე გადაწყვეტილება შესაძლებელია ეფუძნებოდეს როგორც პირველად ასევე მეორად წყაროებს. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, ხოლო დამატებაზე ინიცირება შეუძლია დაწესებულებაში დასაქმებულ ნებისმიერ პირს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას პსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესს კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამას „მებაღეობა“ ახორციელებს 2020 წლიდან, მ.შ. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის შემუშავების მტკიცებულებები, ასევე 2020-2026 წლების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესახებ სტატისტიკა, რომლის თანახმად, ამ პერიოდში, საერთო ჯამში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 57-ს, სტატუსშეწყვეტილი - 22, სტატუსშეჩერებული - 5, აქტიური -10, ხოლო კურსდამთავრებული - 20. დაწესებულების წარმომადგნელების განმარტებით, მიუხედავად ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნისა, პროგრამაზე დაბალი სტატისტიკური მაჩვენებელები განპირობებულია მისი განხორციელების ტიპიდან (ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება).

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დაწესებულება ახორციელებს, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაცვლებას, განახლებული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამით. წარმოდგენილია მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი. გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის დამატების შესახებ მიღებულია ქვემო ქართლის რეგიონის საჭიროებების შესაბამისად, რაც ასევე თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მრავალპროფილური, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მიწოდების გზით, მოამზადოს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიონალები. გადაწყვეტილება ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების სტრატეგიულ და მიმდინარე სამოქმედო გეგმებთან, წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინსიტროს თანხმობის წერილი MES 0 25 0000031086 (20/01/2025) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე.

შრომის ბაზრის და დაინტერსებული მხარეების მოთხოვნების, რეგიონის სპეციფიკის, ასევე დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსის, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების არსებული პრაქტიკის საფუძველზე, ამასთან, მიმართულების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, რაც პროგრამას უფრო მოთხოვნადს ხდის, პსდ-ს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელება.

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდართან (სარეგისტრაციო ნომერი 08.7.1) და არ მოიცავს სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის მართვის მიზნით შემუშავებულია შიდა რეგულაცია „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები“ (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №37715 ბ, 21.01.2025 წ; ცვლილება განხორციელებულია: ბრძანება №1680391, 26.11.2025) რეგულაციით განსაზღვრული პროცედურები, შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებას შემუშავებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, პ.8. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“), რომელიც პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს სასწავლო გარემოს (A, C), მათ გამტარუნარიანობას, სამუშაო ადგილებისა და აღჭურვილობის, განმახორციელებელი პირების რაოდენობასა და საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, პრაქტიკის ობიექტების რესურსს.

   დაწესებულებას კონკრეტული პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას გათვალისწინებული აქვს დადგენილი მეთოდოლოგიის მოთხოვნები. პროგრამისთვის გამოყოფილია A გარემო, რომლებიც აღჭურვილია პროფესიული განათლების მასწავლებლისა და 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილებით. სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამისთვის დადგენილი კვოტის 2 ცვლად/ნაკადად სტუდენტთა მიღებას (15-15 პროფესიული სტუდენტი ჯგუფში/ნაკადში). პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გამოყოფილია ფართი, C გარემო (პსდ-ს B კორპუსი, აუდიტორია №110, საერთო ფართით 84.66 კვ.მ). დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილია მცირე სათბური.

   პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ასევე, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან:

- ა(ა)იპ „რუსთავ-სერვის ცენტრი“ მის: ქ. რუსთავი, ალ. ყაზბეგის ქ №2 (მემორანდუმი №01/2026, 16.01.2026).
- კ/ს „ნუგზარ ძნელაშვილი & კომპანია“, მის: ქ. რუსთავი, ტაბიძის ქ №22 (მემორანდუმი №02/2026, 22.01.2026)

   მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტების მიერ, პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით/აღჭურვილობით, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობებს. დოკუმენტებით, განსაზღვრულია ობიექტზე პროფესიული სტუდენტების მისაღები რაოდენობები (ერთდროულად 15, ხოლო მონაცვლეობით - 30 პროფესიული სტუდენტი). პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები ადასტურებენ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული კვოტის გატარების შესაძლებლობასა და მზაობას. მათთან გასაუბრებისას ასევე აღინიშნა, მცენარეთა მრავალფეროვნება და რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპეტენციების დაუფლებას (ობიექტების სარგებლობაში, ჯამში წარმოდგენილია 35 სახეობის 4245 ერთეული მცენარე). რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან პროფესიული მოდულების სწავლებისთვის 5.

დაწესებულების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ფლობა, შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან. დაწესებულების მიერ გამოყოფილი სასწავლო სივრცეები, მათი აღჭურვილობა, ასევე ვიზიტის დროს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების რესურსი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსის, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსთან.

შემოწმებული იქნა ასევე ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, გაიცა ***<u>რეკომენდაცია,</u>*** *<u>გადაიხედოს პროგრამის მიზნებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსი, სახელმძღვანელოების ძველი რედაქციები ჩანაცვლდეს და სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნეს ახალი გამოცემები.</u>*

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევითი მოდულებს.**

6.დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის თამახმად (პ.2.25), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დამტკიცებაზე, ცვლილების შეტანასა და გაუქმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანებით №027248. შესაბამისად, **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მებაღეობა“ ანალოგიურია საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების (სარეგისტრაციო ნომერი - 08.7.1). გამომდინარე აქედან, სახელწოდება **შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი**

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის **(„მებაღეობა“ სარეგისტრაციო ნომერი - 08.7.1)** საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 85 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 63 კვირა/≈16 თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 115 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 85 კვირა/≈21 თვე).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით დაცულია პროგრამის კომპონენტების/მოდულების ლოგიკური თანმიმდევრული სტრუქტურა, საკანონმდებლო და პსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილი კვირეული დატვირთვის ნორმები.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს/საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პსდ-ს მისია
2. სსიპ კოლეჯი მოდუსის 2024-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (ბრძანება №0000164127, 15.02.2024)
3. სსიპ კოლეჯი მოდუსის 2026 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება №1847952, 26.12.2025)
4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტი
5. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №37601, 21.01.2025 წ; ცვლილება განხორციელებულია: ბრძანება №1680353, 26.11.2025);
6. „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები“ - (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №37715 ბ, 21.01.2025 წ; ცვლილება განხორციელებულია: ბრძანება №1680391, 26.11.2025)
7. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეგაღეობა“ დანართებითურთ
8. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი, სსიპ კოლეჯ მოდუსის დირექტორის ბრძანება №027248 15.01.2026 წ
9. 2020-2026 წლების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესახებ სტატისტიკა
10. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე (MES 0 25 0000031086, 20.01.2025)
11. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
12. მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია
13. დაწესებულების ბიბლიოთეკის მართვის რეგულაციები და ფონდები
14. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული ბიბლიოთეკა http://www.modusi.ge
15. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. პროგრმისთვის გამოყოფილი რესურსით, შესაძლებელია ერთ ჯგუფში 15, ორი ცვლის ფარგლებში 30 პროფესიული სტუდენტის მიღება ან 2 ნაკადად 15-15 პროფესიული სტუდენტი წლების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოყოფილია A გარემო, რომლებიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. სასწავლო გარემოების აღჭურვა შესაბამისია საგანმანათლებლო სტანდარტისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის/აღჭურვილობის ნუსხის უზრუნველყოფს პროგრამის/მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას და საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.

   დაწესებულების თვითშეფასების განაცხადით საგანმანათლებლო პროგრამის პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტების 2.1. კომპონენტი შეფასებული იყო ნაწილობრივი შესაბამისობით. განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (ბრძანება MES6260000038174, 20.01.2026 წ.). დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი იყო მატერიალური რესურსის/აღჭურვილობის შეძენისა და ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, მ.შ. შესაბამისობის გეგმის შესრულების მტკიცებულებები (ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები), რომლებითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, შესაბამისად, პროგრამის პრაქტიკული მოდულების განხორციელებისთვის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის კრიტერიუმების გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ, შერჩეულია პრაქტიკული კომპონენტის/სწავლის შედეგების სწავლებისთვის ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- ა(ა)იპ „რუსთავ-სერვის ცენტრი“ მის: ქ. რუსთავი, ალ. ყაზბეგის ქ №2 (მემორანდუმი №01/2026, 16.01.2026).
- კ/ს „ნუგზარ ძნელაშვილი & კომპანია“, მის: ქ. რუსთავი, ტაბიძის ქ №22 (მემორანდუმი №02/2026, 22.01.2026

პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია იხ. ასევე 2.1.1(3) ინდიკატორის შეფასებასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადთან ერთად, ასევე წარმოდგენილია სს „საქართველოს სათბურის კორპორაციასთან“ (მის: გარდაბანი, თამარ მეფის ქ. 152ა) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (№26/2019, 05.08.2019), რომლის საგანია, პროგრამის „მებაღეობა“ პრაქტიკული კომპონენტის, მ.შ. გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებაში ურთიერთთანამშრომლობა. კორპორაცია გამოხატავს მზაობას ერთდროულად მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი.

ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები მოქმედებს უვადოდ. დოკუმენტებით განსაზღვრულია კომპეტენციების ჩამონათვალი, რომელთა მიღწევაც განსაზღვრულია კონკრეტულ ლოკაციებზე. ასევე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებლობები უსაფრთხოების, სწავლების განხორციელებისა და ურთიერთთანამშრომლობის თავისებურებების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შემოწმდა ა(ა)იპ „რუსთავ-სერვის ცენტრი“ და „ნუგზარ ძნელაშვილი & კომპანია“. პარტნიორი ობიექტების წარმომადგენლები ადასტურებენ მზაობას პროგრამით და მემორანდუმით გათვალისიწინებული კვოტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო მომსახურების/პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ.

დოკუმენტაციის ანალიზის, გარემოს ვიზუალური დათვალიერების, დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 10 პირი, მათ შორის: 4 ზოგადი, 5 პროფესიული და 1 ქართული ენის მოდულებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით კვირეული საათობრივი დატვირთვა და დაწესებულების მიერ განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ან შრომითი ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პერსონალის დატვირთვისა და საკანონმდებლო მოთოვნების კონტროლის მიზნით დანერგილი აქვს სამმაგი ინსტრუმენტი. სამუშაო საათები აღირიცხება პერსონალის მიერ და ადმინისტრაციის მიერ როგორც ინდივიდუალურად, ისე კრებსითად პროგრამის/მოდულის ფარგლებში კალენდარული თვეების მიხედვით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დაწესებულების პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პროფესიული მასწავლებლებით, რომელთა კომპეტენცია დასტურდება მათი კვალიფიკაციით ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით. პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების უმრავლესობა არის პრაქტიკოსი მებაღე და წარმოადგენენ პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების პერსონალს.

პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრების მიერ ორგანიზებული სხვადასხვა, კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები და პროგრამები. დაწესებულების ხარისხის სამსახურის მიერ განმახორციელებლებთან პერიოდულად ტარდება სწავლებისა და შეფასების შესახებ ტრენინგები/ვორქშოფები. სამსახური ასევე პროფესიულ მასწავლებელთა პირადი მომართვის საფუძველზე, მართავს კონსულტაციებს მ.შ. ინდივიდუალურ ფორმატშიც.

პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესებსა და დაწესებულების პროგრამის/მოდულების ადაპტაციის პროცესში, რაც დასტურდება როგორც პერსონალთან გასაუბრებით, ისე ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებით (09.12.2025 MES 9 25 0001753416). წარმოდგენილი კვლევის ანგარიშის მიხედვით, პროგრამის შემუშავება-ადაპტაციაში ჩართული იყო მასწავლებლების 50%, ხოლო ნაწილობრივ -17.9%.

დაწესებულების პროფესიული მასწავლებელბლების კომპეტენციას, დადებითად აფასებს პროფესიული სტუდენტებიც, რომელთა 88.1% თვლის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას (იყენებენ მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად), ამომწურავად პასუხობენ შეკითხვებს და სწავლის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან იღებენ ყველა საჭირო დახმარებას/კონსულტაციას (ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი MES 9 25 0001753416, 09.12.2025). მასწავლებელთა კვალიფიკაციას და სასწავლო პროცესის ხარისხით კმაყოფილება დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან განხორციელებული გასაუბრებითაც.

ვიზიტის დროს შედგა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებაც, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, დარგში სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, თუმცა ანალოგიური დასახელების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მასწავლებელთა მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების შესწავლის საფუძველზე გაიცა ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაცია (იხ. . 2.4.2 კომპონენტის შეფასება). დარგის ექსპერტის მიერ, ასევე გაიცემული იქნა ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *<u>პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და დარგში არსებული სიახლეების, გაცნობით მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პერიოდულად მათი დარგობრივი მიმართულებით ტრენინგებსა და სხვა ტიპის ღონისძიებებში ჩართვა.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის პრაქტიკოსი მებაღე, 10 წლიანი გამოცდიებით, რაც დასტურდება პირადი საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებლი ორგანიზაციის ა(ა)იპ რუსთავსერვისცენტრის სანერგე მეურნეობის წამყვანის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელს ასევე აქვს ანალოგიური პროგრამაზე სწავლების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულებითა (№36. 13.01.2025) და შეთანხმების დოკუმენტით (№36-1, 13.01.2025), საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად განსაზღვრულია პროგრამის ადმინისტრაციული საკითხების მართვაც. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და მოდულების ადაპტაციის პროცესებში.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ბიბლიოთეკის მიერ. სასწავლო რესურსის გამოყენება შესაძლებელია როგორც მატერიალური , ისე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც მატერიალური სახით ეგზემპლარები, ისე ელექტრონული ვერსიები. სასწავლო რესურსი და სახელმძღვანელოები განთავსებულია ასვე დაწესებულების ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეში. ვებ გვერდზე განთავსებულ რესურსთან წვდომა შეუზღუდავია, სახელმძღვანელოებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს. დაწესებულებას აქვს წვდომა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) სერვისთან, რაც უზრუნველყოფს როგორც პროგრამის განმახორციელებლებს, ისე პროფესიულ სტუდენტებს, ისარგებლონ დარგისთვის აქტუალური სამართლებრივი აქტებით.

დაწესებულებაში განხორციელებული პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების ბოლო კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 90.5% მიიჩნევს, რომ სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები/ინტერნეტ-რესურსები/საბიბლიოთეკო სივრცე მათთვის ხელმისაწვდომია და სრულად აკმაყოფილებს სწავლის საჭიროებებს (დაწესებულების ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი 09.12.2025 MES 9 25 0001753416).

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ **პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით.**

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, თავი VII.), რომლითაც განსაზღვრულია, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დაწესებულების პერსონალის მიერ როგორც სასწავლო გარემოს, ტექნიკური აღჭურვილობების, ისე სასწავლო რესურსების, სასწავლო გეგმების ადაპტირების წესები და სსსმ სტუდენტების საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობები, მ.შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულაციები. პსდ-ის ყველა შენობა-ნაგებობა ადაპტირებულია, შესაძლებელია წვდომა ნებისმიერ სასწავლო სივრცესა თუ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სერვისთან.

ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ანალოგიური დასახელების პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების პროცესში შემუშავებული დოკუმენტაცია: მოდიფიცირებული მოდული, საჭიროებაზე მორგებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პროცესზე პასუხისმგებელ პერსონალთან გასაუბრებით, დაწესებულების მიერ დაცულია სსსმ პირის უფლებები, ინტერესები და პროცესთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნები. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, შემუშავების, პროგრამის/მოდულის მოდიფიკაცია-აკომოდაციის და ინკლუზიური განათლების მართვის პრაქტიკა, **შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომელთა ადაპტირებას უზრუნველყოფს დაწესებულება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით, ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლების წყაროდ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ვაჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს შრომის ანაზღაურებას (50%), პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მასალები (20%), აღჭურვილობის ამორტიზაცია (10%), კომუნალი გადასახადები (10%), სხვა ხარჯები (10%). ბიუჯეტი განსაზღვრულია რენტაბელურის ზღვარის (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტითა და წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, პროგრამის განხორციელების ეფექტიანი მენეჯმენტი განაპირობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ დანართებითურთ
2. ,,სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“(დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №82, 05.04.2019 წ; ცვლილება განხორციელებულია: ბრძანება MES 8 26 0000022074, 14.01.2026)
3. მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები)
4. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (ბრძანება MES6260000038174, 20.01.2026 წ.)
5. პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
6. პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელი პირადი საქმეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პერსონალის სამუშაო საათების აღრიცხვის ფორმები
8. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
9. სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე სპეციალისტთა გუნდის შეხვედრის ოქმი #1 31.03.2021
10. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „მებაღეობის“ მოდიფიცირებული მოდული „დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება -0811110“ და საჭიროებებზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტები
11. ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების შესახებ (09.12.2025 MES 9 25 0001753416)
12. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) სერვისით სარგებლობის დამდასტურებელი დოკუმენტი;
13. საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი
14. დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსი
15. სსიპ კოლეჯ მოდუსის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება #135, 24.05.2022)
16. დაწესებულების ვებ გვერდი http://www.modusi.ge
17. დაწესებულების და პარტნიორი ორგანიზაციების პერსონალთან გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ პროგრამის შეფასება და განვითარება რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის MES 9 25 0000037601 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის თანახმად. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება ხარისხის განვითარების უწყვეტი ციკლის მოდელს. დაწესებულებაში პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე მექანიზმებით, რაც ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვას, ასევე შრომის ბაზრის კვლევას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, გარე შეფასების შედეგებს, მათ ანალიზსა და შესაბამისი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას.

დაინტერესებული მხარეების გამოკითხა, მოიცავს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განვითარების შესახებ რეკომენდაციებისა და ინიციატივების იდენტიფიცირებას.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პსდ აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დაწესებულებასთან: საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღთან, პრაქტიკის ობიექტებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ და სხვა პროფილურ ადგილობრივ დაწესებულებებთან, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარები, პრეზენტაციების ჩატარებით. ღონისძიებების ფარგლებში ხდება გამოცდილების გაზიარება, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების გაცნობა.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, დაწესებულება, ასევე მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში, ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში შეიქმნა სწორედ პლათფორმა/თამაში „ვირტუალური ბაღი“ (იხ. საუკეთესო გამოცდილების აღწერა), რომელიც დაწესებულების მიერ გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც სწავლებისა და პრაქტიკის ინსტრუმენტი.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულების **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების მეტოდოლოგიითა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით, განსაზღვრულია პროგრამის განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პერიოდულობა და ინსტრუმენტები,** რომელიც მოიცავს: კურსდამთავრებულთა, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვას. ასევე საუკეთესო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო პრაქტიკის, დარგში არსებული უახლესი კვლევების შედეგების გაცნობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი, გამოკითხვის შედეგებისა ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს/გამოავლენს პროგრამის განხორციელების სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასევე, დაინტერესებული მხარეებიდან შემოსულ გაუმჯობესების წინადადებებსა და რეკომენდაციებს. გამოკითხვის შედეგების შესახებ ანგარიში წარედგინება დაწესებულების დირექტორს, შემდგომი ღონისძებების დაგეგმვისა და გატარებისთვისთ. დაინტერესებული მხარეების გამოკითვის ანკეტა-კითხვარები, განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

2025 წლის გამოკითვის შედეგების საფუძველზე, მაღალი მაჩვნებლებია დაფიქსირებული საგანმანათლებლო პროგრამის ხარიხთან და ამ კუთხით პროფესიული სტუდენტების მოლოდინების გამართლებასთან მიმართებით. რესპოდენტთა 79% ადასტურებს, რომ მათი მოლოდინები სრულად გამართლდა.

დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხს და შეფასების შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (ბრძანება №37601, 21.01.2025 წ);
2. სსიპ - კოლეჯი მოდუსის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
3. ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების შესახებ (09.12.2025 MES 9 25 0001753416
4. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმები - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის. სასწავლო გეგმების მიხედვით პროგრამის ხანგრძლივობაა:
   - ქართულენოვანი კონტინგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 63 კვირა/≈16 თვე (85 კრედიტი)
   - არა ქართულენოვანი კონტინგენტისთვის სწავლის ხანგრძლივობა - 85 კვირა/≈21 თვე (115 კრედიტი).

   სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით. უზრუნველყოფილია მოდულების თანამიმდევრული განხორციელება, პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის დაცვა და პროფესიული სტუდენტისათვის ადეკვატური კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმით დაცულია პერიოდი შესაძლო განმეორებითი შეფასებისთვის. წარმოდგენილი ცხრილით მოდულების განხორციელების შესაძლებლობები, განსაზღვრულია სწორად.

   სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მართვის მარეგულირებელი მექანიზმები განსაზღვრულია დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით (მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ორგანიზება).

   წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, პროცესის მუდმივი ზედამხედველობით/მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს, ჩატარებულ კონსულტაციებს. შემუშავებულია ასევე სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების პროცედურები. პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება სათანადოდ და დროულად რეაგირებს მათ ინტერესებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე. იგეგმება შესაბამისი აქტივობები/ღონისძიებები სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის, რესურსის, გარემოს შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების და სტუდენტთა საჭიროებებზე მორგების მიზნით. ღონისძიება-აქტივობები მოიცავს მოქნილი სასწავლო გეგმებისა და საათობრივი დატვირთვის ბადის (ცხრილის) შემუშავებას, სწავლების ფორმატს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას, ინდივიდუალურ კონსულტაციებს, დამატებით მეცადინეობებს, მობილობის შესაძლებლობას, კრედიტების/ფორმალური განათლების აღიარებას და სხვა.
დაწესებულების მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგებით, გამოკითხული პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა (83.3%) მიიჩნევს, რომ კოლეჯი აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას მათთან უკუკავშირის საფუძველზე.

შეფასების შედეგად, დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე, მექანიზებული ხელასწყო-მოწყობილობები. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ სხვადასხვა ინტერაქციულ მეთოდებს (ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფურად დავალებების/პროექტების შესრულება და სხვ.). საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ასევე „ვირტუალური ბაღი“, სადაც კარგად არის სინთეზირებული აგრარული განათლება და ციფრული ტექნოლოგიები. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, ასევე განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მუხლი 32). დაწესებულების მიერ აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ მობილობით ან სტატუსის აღდგენით სარგებლობისას, ასევე პროფესიული სტუდენტის შეცვლილ ან/და მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანისას. სსსმ პირის შემთვევაში, ისგ-ის შემუშავების პროცესში ერთვებიან შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტები. შესაბამისად, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი.
ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა, მილევადი რეჟიმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“, სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის მოდიფიცირებული მოდული და საჭიროებებზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტები (იხ. 2.2.1(6) ინდიკატორის აღწერა).

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. დაწესებულების შიდა რეგულაციები ითვალისწინებს პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებისას პრაქტიკის ობიექტების შერჩევის მექანიზმებს. დაწესებულება შერჩევისას ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, კოოპერაციული სწავლების ობიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს. პრაქტიკის ობიექტებტთან გაფორმებული მემორანდუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულებებს, სწავლებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალის გამოყოფას და პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულო ინსტრუქტაჟების განხორციელებას. განსაზღვრულია -განსახორციელებელი მოდულები, საათები, პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. პარტნიორი დაწესებულებები რეგიონში წამყვანი ორგანიზაციები და სარგებლობენ მაღალი რეპუტაციით, აცნობიერებენ დარგის გამოწვევებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებს, მნიშვნელობას და გამოხატავენ მზაობას ჩაერთონ პროფესიულ განათლებაში. პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით/რესურსით.

დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით და პარტნიორი ორგანიზაციებში ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებით.
დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, რაც დასტურდება როგორც შესაბამისი ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით.

6. დაწესებულებას უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთოების პოლიტიკა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, პირველადი სამედიცინო აღმოჩენის გაწევის ინსტრუქცია და სხვა დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთო სასწავლო-სამუშაო გარემოს შექმნას. დაწესებულების დარგობრივ კაბინეტებსი, გამოკრულია პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების/დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნები. პრაქტიკის ობიექტებზე, პარტნიორი დაწესებულების პასუხისმგებლობაა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პროფესიული სტუდენტების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა., რაც ასევე გათვალისწინებულია უღთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.
დაწესებულების სასწავლო პრაქტიკის მენეჯერმა, წარმოადგინა, პრაქტიკული კომპონენტის გავლამდე, პროფესიულ სტუდენტებთან განხორციელებული ინსტრუქტაჟის მტკიცებულებები, მ.შ. უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით. 2025 წლის გამოკითხვის შედეგების ანალიზით, სასწავლო პროცესსა და გარემოს დაგეგმვა-მიმდინარეობას უსაფრთხოდ აფასებს რესპოდენტთა 95.2%.

შეფასების და გასაუბრების შედეგებით, დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ დანართებითურთ
2. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (ბრძანება №102 27.04.2020)
3. საგანგებო სტუაციების მართვის გეგმა (24.05.2022)
4. პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ ინსტრუქცია (ბრძანება №395, 31.12.2021)
5. პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟის ფურცლები
6. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
7. ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების შესახებ (09.12.2025 MES 9 25 0001753416)
8. საგანმანათლებლო პროგრამების: „მებოსტნეობა“, „მეხილეობა“, „მებაღეობა“ შრომის უსაფრთოების მოთხოვნები
9. ვიზუალური დათვალიერებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ დანართებითურთ
11. ,,სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“(დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №82, 05.04.2019 წ; ცვლილება განხორციელებულია: ბრძანება MES 8 26 0000022074, 14.01.2026)
12. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი (ბრძანება №168969 16.02.2026)
13. სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე სპეციალისტთა გუნდის შეხვედრის ოქმი #1 (31.03.2021) და მოდიფიცირებული სწავლის შედეგების და შეფასების ინსტრუმენტები.
14. დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

(3) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
(4) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
(5) პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
(6) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ფორმები და ტიპები, სწავლის შედეგების დადასტურების/შეფასების პროცედურები, მ.შ. განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების ადმინისტრირების მექანიზმები (მუხლები: 20-27). პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით, რომელიც შესაბამისია შეფასების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა.

   რეგულაციით განსაზღვრულია ასევე შეფასების შედეგების გაპროტესტების/აპელაციის წესი (მუხლი 27), რომლის თანახმად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, შედეგების გაცნობიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, პრეტენზიის არსებობის შეთხვევაში, წერილობითი მიმართოს დირექტორს. რეგულაციით, საჩივრის განცხადება **შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს, რომელიც მას განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში. პუნქტი არ აკონკრეტებს, საჩივარი განსახილველად გადაეცემა შეფასების განმახორციელებელ პირს თუ სხვა მასწავლებელს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გასაზღვრულია სხვა შემთხვევა** - „იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექციის დავალებით შესაბამისი ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს.“ ნათელია, რომ დაწესებულებას სწორი მიდგომა აქვს საჩივრის განხილვასთან, თუმცა წინმსწრებ პუნქტებში დებულება ბუნდოვანია. იმისათვის რომ ბუნდოვანება არ დარჩეს საჩივრის განხილვასთან დაკავშირებულ პუნქტებში, სასურველია დაწესებულებამ დააკონკრეტოს, რომ საკითხის განხილვა ხდება ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, საჩივარი განიხილება იმ პირის მიერ, ვინც არ მონაწილეობდა შეფასების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამავე მუხლი მე-3 პუნქტით განსაზღვრულია: ***„საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.*** პროფესიული სტუდენტისგან/მომხმარებლისგან საჩივრის განუხილველად დატოვება ეწინააღმდეგება ხარისხის მართვისა და სტუდენტზე ორიენტირებულობის პრინციპებს. დაწესებულება ვალდებულია, ნებისმიერი წყაროდან შემოსული საჩივარი განიხილოს, მოახდინოს მასზე ადეკვატური რეაგირება და შესაბამისი ინფორმაციის დოკუმენტირება. ამასთან ჩანაწერი ***„გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება“, ზღუდავს*** პროფესიული სტუდენტის უფლებებს, ის უფლებამოსილია დაწესებულების ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივროს, მ.შ. დაწესებულების გარეთ.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა, მილევადი რეჟიმის საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დაწესებულებაში განხორციელებული გამოკითხვის შედეგებით, *კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას 92.3% ობიექტურად/სამართლიანად აფასებს*. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები შიდა რეგულაციის დადგენილი სტრუქტურის შესაბამისია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. შეფასებისა და პერსონალთან გასაუბრებით, დასტურდება დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემის აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობა. ექსპერტების მიერ პროფესიული მოდულების თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტებთან (წერილობით ტესტი) და აპელაციის პროცედურასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები.

განვითარების რეკომენდაციები:

1. *განმახორციელებელმა პერსონალმა უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების განახლება/გაუმჯობესება, კერძოდ: თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტების კითხვები გახდეს უფრო მარავალფეროვანი, დაცული იყოს ტესტური კითხვების/დავალებების სირთულისა და სიმარტივის ბალანსი. ასევე სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იყოს უფრო მაღალი, ვიდრე, წარმოდგენილი დოკუმენტების შემთხვევაში დადგენილი ზღვარი (50% და მეტი).*
2. *დაწესებულების მარეგულირებელ წესში კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები, ისე რომ გამოირიცხო ბუნდოვანი ფორმულირება და უზრუნველყოფილი იქნეს* .

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. პროცედურაში დეტალურადაა გაწერილი ვერიფიკაციის პროცესი, ეტაპები და პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები; კონკრეტული კრიტერიუმების, რისკების მიხედვით შერჩეული ვალიდაციაგავლილი შეფასების ინსტრუმენტები გადის ვერიფიკაციის პროცესს, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მენეჯერი. ვერიფიკაციის გეგმა ინტეგრირებულია ხარისხის მენეჯერის წლიურ სამოქმედო გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას დანერგილი აქვს პროცესის განხორციელების პრაქტიკა, სასწავლო პროცესის მენეჯერისგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის მენეჯერი ადგენს ვერიფიკატორთა ჯგუფს. თუმცა ვაილდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება სხვა დოკუმენტებში, გარდა თავად ვალიდაცია-ვერიფიკაციის ფურცლებში. არ დოკუმენტირდება ასევე ინფორმაცია, თუ რა რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით მოხდა შერჩევა და რა მოცულობის შეფასების ინსტრუმენტები იქნა ვერიფიცირებული, რაც არსებითად მნიშვნელოვანია, თავად განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესისა და ვერიფიკატორების შეფასებისთვის.

დაწესებულების პრაქტიკით, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/შეთანხმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერისა და შესაბამისი კომპეტენციის სხვა განმახორციელებელი პირის მიერ. შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობა, რეკომენდაციები დასტურდება ვალიდაციის პროცესისთვის შემუშავებული სპეციალური ფორმით.

დაწესებულების ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით, ექსპერტთა მიერ გაიცა შემდეგი შინაარსის *რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესის სრულყოფილი დოკუმენტირება: ვალიდატორებისა და ვერიფიკატორებს ჯგუფების წინასწარ განსაზღვრა-დოკუმენტირება; შიდა რეგულაციის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად რისკების რეესტრის შედგენა და მოდულის ფარგლებში არსებული შეფასების ინსტრუმენტების დადგენილი მოცულობის მითითება.*

„მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მიერ, ჯერ ვერიფიკაცია არ განხორციელებულა. ვიზიტის დროს განხილული იქნა სხვა პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. დაწესებულებაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა-შენახვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესი („სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, მუხლი 26. შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვა), რომლის თანახმად, მოდულის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის სპეციალისტი ახდენს მათ ელექტრონულ აღრიცხვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია, შეფასების მტკიცებულებები, ინახება სასწავლებელში შეფასების განხორციელებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები - უვადოდ. მოდულის შეფასების და კრებსითი შეფასებების უწყისების შენახვა-აღრიცხვა ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (e-Flow) და მოიცავს ინფორმაციას, თითოეული ჯგუფის, პროფესიული სტუდენტის მოსწრების შესახებ. დოკუმენტაციის შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, მათი ამოღება და განადგურება ხდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების” გატვალისწინებით.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

4. პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის მართვა-განვითარების მიზნით, დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისას, სტუდენტი უკუკავშირს იღებს, პროფესიული განათლების მასწავლებლისგან (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მუხლი 30. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა). პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობა ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს, მხარდაჭერისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, უტარდებათ კონსულტაციები, დამატებითი შეხვედრების/მეცადინეობები, რაზეც დაწესებულების რეგულაციის თანახმად, პასუხსიმგებელია, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი, ისე პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერები. დაწესებულებაში 2025 წელს წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგების ანალიზით, გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 100% თვლის, რომ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კოლეჯისაგან ღებულობდა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას.

დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრული მექანიზმების განხილვის, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით **დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების შესახებ (09.12.2025 MES 9 25 0001753416)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი 19.03.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: